№2780 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნებისათვის ერთჯერადი გასაცემლის სახით დაფინანსების შესახებ

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოფლის ექიმებისა (400 ლარის ოდენობით) და სოფლის ექთნებისათვის (300 ლარის ოდენობით) ერთჯერადი გასაცემლის სახით (მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სოფლის ექიმის“ პროგრამიდან (პროგრამული კოდი: 35 03 03 08) განახორციელოს „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით დაკონტრაქტებული პირებისათვის 980 000 ლარის ფარგლებში თანხის გაცემა.

პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ღარიბაშვილი**